№ 117

შაბათი 5 ივნისი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 117

შაბათი, 5 ივნისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი ,,ივერია“ პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ეღირება 6 მან. 50 კაპ.

ამა ივნისის 2-ს, ხანგრძლივის და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თავის სახლშივე, ქ. ოზურგეთში, ოზურგეთის მომრიგებელი შუამავალი სტატსკი სოვეტნიკი

## ალექსანდრე ტიმოთეს ძე ჯაყელი.

ასული მისი ელისაბედი დ ძმები ლევან და გრიგოლ ჯაყელნი, გულითადის მწუხარებით აცნობებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ, სთხოვენ მობრძანდნენ ქალაქ ოზურგეთში ცხედარის გამოსასვენებლად ამა ივნისის 8-ს, სამშაბათს, დილის 10 საათზედ. მიცვალებულის გვამს დაასაფლავებენ ექადიის წმ. გიორგის ეკკლესიაში.
პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე დილის 10 საათზედ.
(3—80—2)

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

**საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები**

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.** (30—78—3)

**ექიმი ი. ია. გოკიელოვი**

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—2)

რადგანაც 29 მაისს დანიშნული

**საზოგადო კრება**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ იგი გადადებულ იქმნა 7 თიბათვისთვის. კრება მოხდება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დილის 10 საათზედ. განსახილველია შემდეგი საქმეები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შესავალ-გასავლისა 1899 წლისათვის.

4, მოხსენება განსვენებულის ალ. როინაშვილის ნაანდერძევის შესახებ.

5, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6, არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სამის კანდიდატისა.

(5—უ.— 3)

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. ბროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი 6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ.)

## ახალი ამბავი

*** ტფილისში ჩამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის საგანგებო მინდობილებათა მოხელე ბარონი ე. თ. ტაუბე.

*** ქუთაისიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებამ უკვე დაამტკიცა ბანკის გამგეობის მიერ წარდგენილი ანგარიში.

*** მთავარ-მართებლის კანცელარიამ სთხოვა ტფილისის გუბერნატორს შეადგინოს განსაკუთრებული საკრებულო, რომელსაც უნდა გადაეცეს განსახილველად შემდეგი საგანი, მიენდოს თუ არა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ შედგენა და დამტკიცება თავად აზნაურთა კერძო მამულებზედ დაწესებულ გარდასახადის ხარჯთ-აღრიცხვისა და გაწერისა.

*** კავკასიაში ერობის შემოღების საქმე, როგორც ისმის, განსახილველად გადაეცა კავკასიის უმაღლესს მთავრობას.

*** ფინანსთა მინისტრის ნებართვით, წელს სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებას, შემნახველ კასის მოქმედების გაფართოების გამო, განზრახვა აქვს დააარსოს ორი განყოფილება კასსისა: ვერაზედ და კუკიაში.

*** ტფილისის სახაზინო პალატის მმართველი დ. ს. ს. ი. ვ. ვერეტენიკოვი სამსახურის გამო სიღნაღ ს მაზრაში წავიდა.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ, მოისმინა რა დადგენილება ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრების მიერ 1,000 მან. შეწირვის შესახებ სასტატისტიკო ბიუროს დასაარსებლად, გადასწყვიტა მოიწვიოს 11 ს ივნისისათვის თავის წევრთა საზოგადო კრება ამ საგნის განსახილველად.

*** კნ. გაგარინის ნავთის წარმოება საკუთრებად გადაეცა „ბალახანის ნავთის მწარმოებელ საზოგადოებას“, რომლის ძირის თანხა უდრის 2,750,000 მან. და განაწილებულია 11,000 აქციად, (აქცია—250 მან.).

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ორ მაისს კრებაზედ დაადგინა, მოიწვიოს მ. პრიტულენკო ტფილისის საბაღოსნო სკოლის მმართველის თანამდებობის აღმასრულებლად, ვიდრე იგი მთავრობის მიერ ამ თანამდებობაში დამტკიცებული იქმნება.

*** როგორც ისმის, ართვინის სახაზინო და საქალაქო ტყეთა გამიჯვნის საქმე გადასწყდება მაშინვე, როგორც-კი ართვინის ოლქში ტყის მოხელენი გაემგზავრებიან.

*** 3 ივნისს დასრულდა ეგზამენები ტფილისის საქალაქო სამს პირველ-დაწყებით სასწავლებელში: მთაწმინდისა და წყნეთის დედათა სასწავლებელში და ვერის ვაჟთა სასწავლებელში. ეგზამენებს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი დაესწრო. დანარჩენ საქალაქო სასწავლებლებში ეგზამენები გუშინ, 4 ივნისს მოხდა.

*** ქალაქის გამგეობის გამოანგარიშებით, წელს ქალაქს შემოსავალი ექმნება 1,349,881 მან. შარშანდელთან შედარებით 9,290 მანეთით მეტი.

*** გუშინ, 4 ივნისს, ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ დაადგინა დააარსოს მომავალის სამოსწავლო წლიდგან 6 პირველ-დაწყებითი სკოლა შემდეგ ადგილებში: ხარფუხსა, კუკიასა, ავლაბარსა, ვერაზედ, ნავთლუღში და სოლოლაკში, ამაღლების ეკკლესიის მახლობლად. იმავე კრებაზედ კომისიამ დანიშნა ახალის სკოლის გამგენი და თანაშემწენი. გამგეებად დანიშნულ იქმნენ ქ-ნნი: წულუკიძე, პეტროვსკაია, ხერასკოვისა, ბრონსკისა, და კაპაკანოვისა; მათ თანაშემწეებად: როონი, პეროვისა, ყანდაუროვისა, ალიბეგოვისა, ჩილაევისა, კირაკოზოვისა, ტულსკაია და ხატისოვისა.

*** 5, 6 და 7 ივნისს ამა წლისას იქმნება სასოფლო-მეურნეობის სკოლაში, დაარსებულ 4 სექტემბერს 1883 წელსა, სოფ. წინამძღვარიანთკარში, საგურამოს ველში, დუშეთის მაზრაში, გამოცდა შეგირდებისა ყველა საგანში და კლასებში. ვისაც ჰსურს, შეუძლიან დაესწროს შეგირდების გამოცდაში.

*** ს. ბრეთი. 1 ივნისს, ნაშუადღევის სამ საათზედ, სოფ. ბრეთსა, წვერსა და საღოლაშენში მოვიდა მსხვილი სეტყვა, რომელმაც ძალზედ ჩარეგვა ყანახები და ჰირნახული. ეს არ გვაკმარა, მეორე დღესაც მოვიდა სეტყვა და გაახრა ნამუშევარი. ზარალი დიდია. ამ მოვლენამ ხალხს თავზარი დასცა, მით უმეტეს, რომ ეს სამი წელიწადია, რაც ამ სოფლების მცხოვრებთ დიდი ზარალი მოსდით ხან ზამთრისაგან, ხან სეტყვისაგან.

*** ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულომ შეამოწმა იმ ყმაწვილ კაცთა სიები, რომელნიც წელს არიან გაწვეულნი კენჭის ამოსაღებად, და აღმოჩნდა, რომ ამ სიებში აღნიშნულია: რუსი—156, სომეხი—287, ქართველი—109, ნემეცი—8, კათოლიკე—9, მალაკანი—22, ებრაელი—18 და თათარი—9, სულ-კი პირველ ივნისამდე სიაში მოხსენებული ყოფილა 618 კაცი. შეღავათი ჰქონია: 1-ლი ხარისხისა—107 კაცს, მეორე ხარისხისა—36 კაცს და მესამე ხარისხისა—2 კაცს.

*** გორის მაზრის უფროსმა უბრძანა ამავე მაზრის სოფლის მამასახლისებს, ზომები მიიღეთ დარჩენილ სასკოლო გარდასახადთა შესავსებად და ამ წლის სასკოლო გარდასახადის უკლებლივ ასაკრეფადაო. გარდა ამისა, მანვე უბრძანა ადგილობრივს ბოქაულებს, სასტიკი ზედამხედველობა იქონიეთ ამ გარდასახადთა მოკრეფის საქმეზედ და ის თანამდებობის კაცი, რომელიც ამ საქმეს ბეჯითად არ შეასრულებს, მაცნობეთ, რათა დავსაჯოო.

## ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენელთა კრება

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

1 ივნისი

კრება დაიწყო გუბერნატორის კანცელარიის დიდს დარბაზში დილის 11 საათზედ. თავმჯდომარეობდა გუბერნიის მარშალი თ. ს. გ. წერეთელი, რომელმაც მიჰმართა კრებას მოკლე სიტყვით და სთხოვა წესიერების დაცვა. „პატიოსანის სიტყვით გარწმუნებთო, სთქვა ბ-ნმა თავმჯდომარემ, რომ ჩემის თავმჯდომარეობის ერთად-ერთი სურვილი ის არის, რომ საკმაო სინათლე მოვფინოთ ბანკის აწინდელს მდგომარეობასო“. შემდეგ წაკითხულ იქმნა გუშინდელი კრების ოქმი, რომელიც საზოგადოებამ დაამტკიცა. გამგეობის წევრმა ბ-ნმა ი. ჯაიანმა წაიკითხა გამგეობის მოკლე მოხსენება ბანკის მდგომარეობის შესახებ.

ა. თ. ნანეიშვილი. სანამდის ანგარიშს გავარჩევდეთ, მე მსურს საზოგადო მოსაზრებანი წარმოვთქვა გამგეობის მიერ წარმოდგენილ მოხსენების შესახებ. მოხსენება გამგეობისა არ შეიცავს ნამდვილს და სრულს სურათს ბანკის საქმეების მდგომარეობისას. მოხსენებაში სწერია: „ბანკის გამგეობის მიერ აღძრული შუამდგომლობა, რომ სამინისტროს მოეცა უფლება 36 წლ. და 48 წლ. სესხის გაცემისა, დაკმაყოფილებული იქმნა ფინანსთა მინისტრის მიერ მხოლოდ 1895 წლის ბოლოს მთავრობის რევიზორის მოხსენების წყალობითაო. ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება დაგვიანდა იმის გამო, რომ 1893 წ. მაშინდელმა საგუბერნიო მთავრობამ თავისი მოსაზრებანი წარადგინა ჩვენის ბანკის საზოგადო კრების სხვანაირად მოწყობის შესახებ. ამ გვარი მოსაზრებანი გაგზავნილ იყო მთავრობის წინაშე

თავად-აზნაურთა კრებისაგანაც“... ეს ადგილი მოხსენებისა სრულიად შესაწყნარებელი და პატივსადები არ არის. ჩვენი საყვედური მაინც უნდა გამოვუცხადოთ გამგეობას იმიტომ, რომ მას ხელთ ჰქონდა 1890 წ. ბანკის საზოგადო კრების გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც უნდა ეშუამდგომლა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რათა მოეცა უფლება 36 და 48 წ. სესხის გაცემისა, მაგრამ გამგეობამ ამის შესახებ ორის წლის განმავლობაში ყურიც არ გაიბარტყა და აი ამ გარემოებამ გამოიწვია ის მოვლენა, რომ დიდძალი მამულები ქუთაისის გუბერნიისა გადაგირავდა ტფილისის ბანკში, რომელსაც უკვე ჰქონდა მოპოვებული გრძელ ვადიანის სესხის გაცემის უფლება. მოხსენებაში სწერია: „სიმდიდრე და შეძლებულება ბანკისა ყოველ ეჭვს გარეშეაო, რასაც ჰმოწმობს თითონ მთავრობის მიერ დანიშნული რევიზორიცაო. 1899 წლის პირველ იანვარს ბანკს დარჩენია 152,800 მან. მამულები. ეს მამულები ბანკს დიდ ზარალს ვერ მისცემენო: იყო დრო, როცა ბანკს დარჩენილი ჰქონდა 800,000 მან. მამულებიო“... ყველა ეს მართალია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ის 800,000 მან. დარჩენილი მამულები არ აძლევს ბანკს იმ ზარალს, რასაც დღევანდელი დარჩენილი მამულები აძლევს. გამგეობას უნდა ნათლად ეჩვენებინა საზოგადოებისათვის, რანაირი მამულები დარჩა ბანკს და თითოეულ მათგანს რა ვალი ადევს. გამგეობამ ეს არა ჰქნა, ამის გამო სულ სხვა-ნაირი სურათი წარმოგვიდგება თვალ-წინ.

თ. ნ. ყ. თავდგირიძე. ბატონებო, ჩვენი ბანკი რომ ცუდს მდგომარეობაშია, ეს საეჭვო არ არის. ყოველს ნაკლულევანებას, ყოველ უბედურებას პირისპირ უნდა შევხედოთ, გულახდილად უნდა გავუზიაროთ ე თითნეთს, რასაც ვხედავთ და ვგრძნობთ. პირადობას მე აქ არ შევეხები. მე შედარებას მივმართავ, რადგან შედარება ორის ერთგვარი საგნისა უფრო ნათლად დაგვანახვებს მათს ვითარებას. აბა შეადარეთ ჩვენი ბანკი, რომელსაც ერთი ოთხად მეტი ძირითადი თანხა ჰქონდა, ტფილისის ბანკს და თქვენ წარმოგიდგებათ მეტის-მეტად უნუგეშო სურათი ჩვენის ბანკისა! როცა ტფილისის ბანკი თექვსმეტ მილიონ მანეთს ამოძრავებს, ჩვენი ბანკი ძლივს ძლიობით—ორს მილიონს. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ სისტემატიურად ყოველ წელს შემოსავალი ბანკისა მცირდება. ეს იმითი აიხსნება, რომ ჩვენის ბანკის გამგეობამ თავისს დროზე არ იზრუნა გრძელ-ვადიანის სესხის გაცემის უფლება მოეპოვა, როგორც აქ საფუძვლიანად შენიშნეს და ამასთან არც კონვერსია მოახდინა. ჩვენი ბანკის მსესხებელი ას მანეთზე წლიწადში შვიდ მანეთს იხდის, ტფილისისა-კი მანეთით ნაკლებს. რუსეთის იმპერიაში არ არის არც ერთი ისეთი ბანკი, რომ ასეთს დიდ სარგებელს ახდევინებდეს, როგორც ქუთაისის ბანკი. ცხადია, მსესხებლები ტფილისის ბანკს მიჰმართავდნენ. ნუ თუ ასეთს მდგომარეობას ბოლო არ უნდა მოეღოს? ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ ჩვენს ბანკს მარტო სავაჭრო მიზანი არა აქვს. იმას საქველ-მოქმედო მიზანიც აქვს; ბანკის შემოსავლით ინახება თავად-აზნაურობის პროგიმნაზია, რომელსაც უსაშუალობისა გამო სული ხდება. ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ ჩვენის ბანკის მდგომარეობა ისე გაუმჯობესდეს, როგორც ეს ტფილისშია.

გამგ. წევ. თ. ნ. ერისთავი. მოხსენებაში ისეთი არაფერია, რაიცა სინამდვილეს მოკლებული იყოს. შეიძლება რაიმე აკლდეს, რასაც, ჩვეულებრივ, საზოგადო კრება შეავსებს. ხოლო რაიცა შეეხება იმ გარემოებას, რომ შუამდგომლობა გრძელ-ვადიან სესხის შესახებ დაავგვიანეთ, ამისი მიზეზი მრავალია: გუბერნატორის აზრი ჩვენის ბანკის საზოგადო კრებების სხვა-ნაირად მოწყობის შესახებ, რევიზია და სხ., ასე რომ მარტო გამგეობა არ არის დამნაშავე.

თ. მ. გ. ფაღავა. მადლობას ვუცხადებთ თავად თავდგირიძეს დარიგებისათვის, მაგრამ დარიგების მაგივრად რომ დაესახელებინა ის მიზეზები, რის გამოც გამგეობამ ვერ იშუამდგომლა გრძელ-ვადიანის სესხის გაცემის უფლება მიეღო, უმჯობესი იქნებოდა. იმ დროს, როცა საზოგადო კრებამ ეს შუამდგომლობა გადასწყვიტა, ისეთი არეულობა იყო საზოგადოებაში, ისეთი ბრძოლა ორის დასისა, რომ გამგეობა თითქმის არცკი არსებობდა. ამის გამო შუამდგომლობასაც ვერ გაჰგზავნიდა; როცა საზოგადოება დამშვიდდა, ე. ი. 1892 წელს, გამგეობამ კიდეც გაჰგზავნა ეს შუამდგომლობა. რომ ბანკს მამულები რჩება და ვერ ჰყიდის, ეს გარემოება სასურველი არ არის, მაგრამ ამის მიზეზი არის ეკონომიური დაქვეითება, წინად მამულს მეტი ფასი ჰქონდა, ეხლა ის ფასი აღარა აქვს და არც ის შემოსავალი, და თუ აქ ვისმე ბრალი ედება, ეს ბრალი უნდა დაედოს დამფასებელ კომისიას, რომლის წევრიც ბ-ნი ნანეიშვილი ჰბრძანდება. გამგეობას არა აქვს უფლება მოუმატოს იმ ჯამს, რომელსაც გადასწყვეტს დამფასებელი კომისია. რაც შეეხება კონვერსიას, იმის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ მისი მოხდენა შეუძლებელია, თუ ბანკმა არ გამოსცა ჯერ უვადო ფურცლები. ხოლო ამ ფურცლების გამოცემა 1891 წელს შეუძლებელი იყო, რადგან იგი ახალი საქმე იყო და მძიმე ტვირთად და ხარჯად დააწვებოდა მსესხებლებს ამ უვადო ფურცლების გამოცემა. ამას გარდა გამორკვეული არ იყო ის პირობები და წესები, რის ძალითაც კონვერსია უნდა მომხდარიყო.

დ. თ. დოლიძე (ზედამ. კომ. წევრი). ბატონებო, ჩვენს საზოგადოებას უწინ სხვა წესი ჰქონდა. კრება უფრო მრავალ-რიცხოვანი იყო; წესიერებაც უმჯობესი გვქონდა. სამწუხაროდ ჩვენდა, ის უფლება დავკარგეთ. სირცხვილი იქნება, რომ საზოგადოების რჩეულთ არ დაიცვან წესი და რიგი. უნდა ვემორჩილებოდეთ ჩვენ მიერ ამორჩეულ თავმჯდომარეს. მე კი ამას ვერ ვხედავ. დავაცადოთ თავმჯდომარეს, რომ მან დაგვიყენოს განსახილველი საგნები და თვითოეული მათგანი ცალკ-ცალკე განვიხილოთ. თქვენ ახლა იმისთანა საგნებს შეეხებით, რომლის განხილვაც შემდეგ უნდა დავიწყოთ. არ უნდა შევჩერდეთ იმისთანა წვრილმან საგანზედ, როგორიც, მაგალითად, ეს არის: გამგეობამ შუამდგომლობა თებერვალში გაგზავნა, თუ დეკემბერში. რაც შეეხება იმას, რომ ბანკი აგვიანებს დარჩენილის მამულის გაყიდვას, ეს არაფერი საშიშია საადგილ-მამულო ბანკისათვის. ხან ბანკისთვის უფრო სახეიროა, რომ მოიცადოს და მერე გაჰყიდოს. ესეცაა აქ სათქმელი, რომ ჩვენ დავიდარაბას მოვუნდით, გამგეობა გამგეობად არ ვიცანით, ავუტეხეთ ერთი შფოთი და აღარ მივეცით დრო საქმეები ეწარმოვებინა.

ა. თ. ნანეიშვილი (წევრი დამფასებელ კომისიისა). საკვირველად ჰღალატობს მეხსიერება ბ-ნს დოლიძეს! ზედამხედველ კომიტეტის 1896 წლის ოქმში, რომელზედაც ხელი უწერია ბ-ნს დოლიძეს, სულ სხვა აზრი აქვს გამოთქმული. იქ სწერია: „დახანება დარჩენილის მამულების გასყიდვისა არის დიდი უბედურება ბანკისათვის, ამიტომ გარდაწყვეტილია, რაც შეიძლება მალე გაიყიდოს დარჩენილი მამულები“... რაც შეეხება თ. ფაღავას თქმას, რომ მამულების დარჩენა დამფასებლების ბრალიაო, ამ საგანზედ დამფასებელ კომისიას ვრცელი მოხსენება აქვს და თავისს დროზედ იქნება აქ წაკითხული. საზოგადო კრების მიერ გარდაწყვეტილი შუამდგომლობა გრძელ-ვადიანის სესხის გაცემის შესახებ გამგეობამ გაჰგზავნა მხოლოდ 1893 წელს და არა 1892 წელს, როგორც ამას ამტკიცებს თავადი ფაღავა. ამ ხნის განმავლობაში გამგეობა საქმეს კი არ აკეთებდა, კენჭობიას უნდებოდა. კონვერსიისათვის სად ეცალა, რომ მსესხებლებისათვის მძიმე ტვირთი შეესუბუქებინა. კონვერსიის მოსახდენათ სრული უფლება ჰქონდა მინიჭებული გამგეობას, საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით, რომელიც მოხდა 1891 წელ. კონვერსიის მოხდენისათვის სრულიადაც არ არის საჭირო უვადო ფურცლების გამოცემა, როგორც ეს ჰგონიათ დირექტორს თავ. ერისთავს და თ. ფაღავას. (ამის დასამტკიცებლად კითხულობს §-ს კონვერსიის წესდებისას).

დ. ბ. ხელთუფლიშვილი. გამგეობის მოხსენება უნდა წარმოადგენდეს სარკეს ბანკის მდგომარეობისას, რომ მკითხველს შეეძლოს სრული უნაკლულო სურათი ბანკის ავისა და კარგისა თვალწინ დაიყენოს. ეს მოხსენება კი თითქმის არაფერს გვეუბნება. მე არ ვიცი, ეს გარემოება განზრახ ჩაიდინა გამგეობამ, თუ უნებურად მოუვიდა. ეს-კია, რომ გამგეობის არც ერთ ნაკლულევანების შესახებ არაფერია ნათქვამი. მაგალითად, გამგეობის მოხსენებაში არ არის აღნიშნული, თუ როდის გადასწყვიტა საზოგადო კრებამ, რომ გამგეობას ეშუამდგომლა გრძელ-ვადიანის სესხის გაცემისათვის? როდის იყო ეს შუამდგომლობა გაგზავნილი? რამდენი ზარალი ჰნახა ბანკმა დარჩენილ მამულებში? რით დაჰფარა ეს ზარალი

# ფელეტონი

### უცხოეთა შორის

ღარიბთა და უმწეოთა პატრონობა.—ქველ-მოქმედების საქმე დანიასა, შვეციასა და ნორვეგიაში.—რა მონაწილეობას იღებს ამ საქმეში საზოგადოება.—უპატრონო ბავშვების აღზრდა.—„თავ-შესაფარი-ოჯახი“, „თავ-შესაფარი—ახალშენი“, „ახალშენი მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის“.

ამ ბოლოს დროს მთავრობათა და საზოგადოებათა ყურადღება მთხოვრებმაც მიიქციეს, საზოგადოდ იმათ, ვინც ბედისაგან მოძულებულნი არიან და ვისაც სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო თავისის შრომით ლუკმა-პურის შოვნა არ შეუძლიან. აქამდის თუ ამ „უბედურ ვარსკლავზედ დაბადებულთ“ მოწყალებით ისტუმრებდნენ, ამ ჟამად მრავალია ისეთი სახელმწიფო, სადაც მთავრობაცა და საზოგადოებაც ათასგვარ საშუალებას იგონებს და პროექტს ადგენს იმათ ბედის, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც საზოგადოების რომელიმე წევრი თუ ღარიბი და გაჭირვებულია, ამაში იმდენად თვით ეს წევრი არ არის დამნაშავე, რამდენადაც არსებული საზოგადოებრივი წეს-წყობილება და დამოკიდებულება. ამიტომ თვით საზოგადოება და სახელმწიფოვეა ვალდებული ყური უგდოს თავის გაჭიყულ წევრებს და იმათი მდგომარეობა ასე თუ ისე მოაწყოს.

ქველ-მოქმედების საქმე არსად არ არის ისე კარგად მოწყობილი და დაყენებული, როგორც სკანდინავიის სახელმწიფოებში: შვეციასა, ნორვეგიასა და დანიაში. იქ კარგა ხანია შეიგნეს ის დედა-აზრი, რომ გაცილებით უმჯობესი და იაფიც არის ნიადაგი არ მოუმზადო გაჭირვებას, სიღარიბეს, ვიდრე ებრძოლო უკვე აღმოცენებულს და აყვავებულს სიღატაკეს. მაშინ, როდესაც ბევრგან სხვაგან მოწყალების გაცემა, მათხოვრის გაკითხვა რაღაც სამადლო და ღვთისნიერი საქმე ჰგონიათ, იქ ეგევე დიდ უბედურებად მიაჩნიათ. შვეციელი და დანიელი ამბობს, რომ მოწყალებით უფრო გაამრავლებთ მათხოვრებსაო; თუ გინდა სიკეთე დასთესო, წინდაწინვე ისე მოაწყე საქმე, რომ მთხოვარი და ღარიბი სრულიად არ გაჩნდესო.

საფუძვლად ქველ-მოქმედებას შვეცია-ნორვეგიასა და დანიაში ის დედა აზრი უდევს, რომ უეჭველად თავისის შრომით უნდა იცხოვროს ყველა იმან, ვისაც შრომა შეუძლიან. ამის განსახორციელებლად საზოგადოებისა და მთავრობისაგან შემდეგის სამის მუხლის ასრულებაა საჭირო: 1, ყური უგდოს და მოუაროს იმ წევრებს, რომელთაც შრომა არ შეუძლიანთ; 2, სამუშაო აღმოუჩინოს, ვინც გაჭირვებულია და სამუშაო-კი არა აქვს და 3, აიძულოს სამუშაოდ ისინი, ვისაც შრომა შეუძლიან და არ კი მუშაობენ. აი, მხოლოდ ამ სამის მუხლისაგან შესდგება სკანდინავიის სახელმწიფოთა საქველ-მოქმედო მოღვაწეობის პროგრამა.

ამ პროგრამის მიხედვით თვით ქველ-მოქმედებაც ორ გვარია: ოფიციალური, სავალდებულო და კერძო, ნება-ყოფლობითი. პირველს განაგებს ესრედ წოდებული „ღარიბთათვის სამზრუნველო“. კანონით საზოგადოება, სოფელი თუ თემი ვალდებულია თავისის ხარჯით შეინახოს ის წევრი, რომელსაც თვით არ შეუძლიან თავისს შენახვა. ვინც ამას არ აასრულებს, იმას კანონითვე შემდეგი სასჯელი გარდახდება: 1, ამომრჩევლობის უფლება ჩამოერთმევა; 2, ნება არ ექმნება არჩეულ იქნას რიხსტაგის (პარლამენტის) წევრად ან თემის წარმომადგენლად; 3, უფლება არ ექმნება 5 წლის განმავლობაში „სამზრუნველოს“ ნება-დაურთველად ცოლი შეირთოს, და 4, ნება აღარ ექმნება „სიბერის პენსია“ მიიღოს. *)

შემწეობა ორ-გვარია, სამუდამო და დროებითი. პირველი უნდა აღმოეჩინოს: უპატრონო, ცუდათ აღზრდილ, ზნეობა გაფუჭებულ და სულით ავადმყოფ ბავშვებს, სულით-ავადმყოფ მოზრდილთ და იმ მოხუცთ, რომელთაც შრომა აღარ შეუძლიანთ; მეორე: დროებით გაჭირვებაში ჩავარდნილთ, სულ ერთია ვისი და რა მიზეზითაც უნდა ჩავარდნენ გაჭირვებაში. ამ აზრით აარსებენ პირველ ჯგუფის ბავშვთათვის აღსაზრდელ სახლებს, სხვა-და-სხვა სასწავლებლებს, ხოლო მეორე ჯგუფისათვის—შრომის სახლებს, სამუშაო ახალშენებს და სხვა დაწესებულებებს, სადაც გაჭირვებულთ ამუშავებენ და ამ მუშაობაში კარგს სასყიდელს აძლევენ.

ძალიან დიდს ყურადღებას სკანდინავიაში უპატრონო ბავშვების აღზრდას აქცევენ. კანონით მთავრობა და იმისი მოხელენი ვალდებულნი არიან თვალ-ყური ადევნონ ბავშვების აღზრდას არამცთუ სასწავლებლებში, კერძო ოჯახებშიაც-კი. ამისათვის განსაკუთრებული დაწესებულებაც-კი არსებობს, რომელსაც შეუძლიან დედ-მამას ბავშვი წაართვას, თუ-კი დაინახავს, რომ ცუდად ზრდიან და თითონ იზრუნოს იმის აღზრდისათვის. ოჯახიდგან გამოყვანილ ბავშვთათვის მრავალი დაწესებულება და სასწავლებელია, რომელთა უმთავრესი საზრუნავი ის არის, რომ სახელმწიფოს პატიოსანი, შრომის მოყვარე მოქალაქენი მოუმზადოს.

უფრო გავრცელებულია ამ ჟამად დანიასა და შვეციაში ესრედ წოდებული „თავშესაფარი-ოჯახი“. განსაკუთრებული თვისება ამ დაწესებულებისა ის არის რომ იგი ოჯახს უფრო ჰგავს, ვიდრე სასწავლებელს ან ჩვეულებრივ თავ-შესაფარს, ასე რომ იქ შეყვანილი ბავშვი არც-კი ჰგრძნობს თავისის საკუთარის კერის მოშორებას. პირველად ასეთი „თავშესაფარი-ოჯახი“ უპატრონო და უზნეო ბავშვთათვის დააარსა დანიაში უბრალო გლეხმა, გვარად სტეფანსენმა. წინად ბავშვებს კერძო ოჯახებში აძლევდნენ გასაზრდელად, მაგრამ ასეთმა წესმა შესაფერი ნაყოფი ვერ მოიტანა. 1892 წელს დანიაში უკვე 58 „თავშესაფარი-ოჯახი“ არსებობდა. ასეთი „ოჯახი“ უმეტეს ნაწილად ოთხის განყოფილებისაგან შესდგება. პირველ სამს განყოფილებას განაგებენ დედაკაცები, ხოლო უკანასკნელს მამაკაცები. მეოთხე განყოფილებაში 12 წლისა რომ შესრულდებოდა ბავშვი, მაშინ გადაჰყავთ. „ოჯახთან“ არსებობს სკოლაც. ამას გარდა ბავშვებს ამუშავებენ და სხვა და სხვა ხელო-

*) სკანდინავიის სახელმწიფოებში შემოღებულია განსაკუთრებული გარდასახადი ღარიბთა სასარგებლოდ, ამ გარდასახადით შეკრებილ თანხიდგან დანიაში პენსია ეძლევა ყველა უმწეო და უპატრონო მოხუცს. რამდენადაც გვახსოვს, ასეთი პენსია შარშან ნორვეგიაშიაც შემოიღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რამდენი დაჰფარა? ამას გარდა გამგეობას დავალებული ჰქონდა 1891 წელს კონვერსია მოეხდინა, გადის ამის შემდეგ ცხრა წელიწადი და ამ დროის შემდეგ კონვერსიის შესახებ მოხსენებასაც ვერ ვხედავთ! შეცდარი აზრია თ. ფალავასი, ვითომც კონვერსიის შესახებ წესდებანი არ იყო დადგენილი 1891 წელს. პირ იქით, 24 მაისს 1991 წელს ეს წესდებანი მკვიდრად იყო დადგენილი. ამით ისარგებლეს რუსეთის ბანკებმა და ამ წლის განმავლობაში 75 მილიონის კონვერსია მოახდინეს, არ გაუვლია დიდ ხანს, რომ 59 მილიონის კონვერსია მოხდა. ჩვენ გვეუბნებიან, რომ მმართველი ბანკისა ბრძოლას უნდებოდა, მაგისთვის არ ეცალაო. საკვირველი თავის გამართლებაა. მაგრამ თუგინდ დავიჯეროთ, რომ ეს ასე იყო, დანარჩენნი წევრნი გამგეობისა და მთელი ზედამხედველი კომიტეტი რაღას აკეთებდნენ? ნუ თუ ისინი მოვალენი არ არიან საზოგადო კრების გარდაწყვეტილებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და სისრულეში მოიყვანონ.

განა ბრძოლა მარტო ქუთაისში იყო, ტფილისში-კი არ იყო ამ გვარი ბრძოლა. იქ საყვედური მოახვედრეს გამგეობას—რომ ორი თვე დაიგვიანა და მერმე აღძრა კონვერსიის შესახებ შუამდგომლობა. აქ-კი ცხრა წელიწადი მიდის და უბრალო მოხსენებაც არ არის ამ საგანზედ შედგენილი. ეს მეტის-მეტი დაუდევრობაა და საზოგადოების ინტერესების სასაცილოდ აგდება.

თ. ი. აბაშიძე. ამისთანა მოხსენების წარმოდგენა, როგორც ინება ბანკის გამგეობამ, მიმაჩნია საზოგადოების სასაცილოდ აგდებად. ცხრა წლის განმავლობაში ჩვენმა საზოგადოებამ არაფერი არ იცოდა ბანკის შესახებ და აი ამ ცხრა წლის შემდეგ გამგეობამ წარმოგვიდგინა ისეთი მოხსენება, რომლითგანაც ჩვენ ვერასფერს ვერ გავიგებთ. რის თქმა შეიძლება იმ მოხსენებით, რომელიც შესდგება 75 სტრიქონით! განა ეს სირცხვილი არ არის?

გამგეობის თავმჯდომარე კ. ნ. ჩიკვაიძე. მე გრძლად მსურს ლაპარაკი, ამიტომ საზოგადოებას ვსთხოვ, ნუ შემაჩერებს, ნუ გამაწყვეტინებს ლაპარაკს; თუ რასმე სალაპარაკო საგნის გარეშე ვიტყვი, მხოლოდ თავმჯდომარემ გამაჩეროს. ჩვენ სურვილი არა გვაქვს დანაშაულობის აღმოჩენისა. ჩვენ გვინდა განურჩევლად უპატიურება მივაყენოთ ადამიანს. პატარა მოხსენება წარმოადგინეო, გვისაყვედურებენ, აბა ეს სასაყვედუროა? იქნება მეტი ვერ შევიძელით, იქნება მეტი ვერ დავსწერეთ. ზოგი ბევრს დასწერს, მაგრამ ამ ბევრის დაწერილიდგან არაფერი გამოდის. ან რა მოსატანია აქ შედარება ჩვენის ბანკისა ტფილისის ბანკთან. იქნება ტფილისის ბანკი ისეთ მდგომარეობაში არ არის, როგორც ბევრს ჰგონია. რევიზორმა იქაც ბევრი შენიშვნა მისცა, იქაც ბევრი ნაკლულევანება ნახა. ტფილისის ბანკმა ეს ჰქმნა, ის ქმნაო, რა სათქმელია. ჩვენს ბანკს იმასა სთხოვენ, რაც არ შეიძლება მოეთხოვოს. აბა ერთი მიბძანეთ, 437 ათასი მანეთი ძირითადი თანხა რა დიდი ჯამია, რომ ბევრი მოეთხოვოს ბანკს! ამოდენა თანხა არა ერთსა და ორს მოსკოველ ვაჭარსა აქვს. საადგილ-მამულო ბანკისათვის ძირითადი თანხას კი არა აქვს უმთავრესი მნიშვნელობა, არა, მნიშვნელობა აქვს იმ უფლებასა, რომლითაც იგი აღჭურვილია. ამ მხრით ტფილისის ბანკი საუცხოვო მდგომარეობაში იყო, ხოლო ქუთაისისა ძალიან ცუდ მდგომარეობაში. ტფილისის ბანკს შეეძლო, რამდენიც უნდა, იმდენი გირავნობის ფურცლები გამოეცა, ქუთაისის ბანკს მარტო სამასის ათასის ფურცლების გამოცემის ნება ჰქონდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ტფილისის ბანკი ურიგო ცილობას გვიწევს. იგი აძლევს მეტს სესხს, ვიდრე ჩვენ. (აქ ჩამოთვალა ის მამულები, რომელთაც ქუთაისის ბანკმა ნაკლები სესხი შეაძლია, ტფილისისამ-კი მეტი მისცა). ამას გარდა საზოგადოება ორ დასად იყო გაყოფილი და მათ შორის ბრძოლა უკანასკნელ ხარისხამდის იყო მისული; ეს გარემოებაც ხელს უშლიდა საქმეს. ამას ისიც დაემატა, რომ სიმინდის ფასი დაეცა, ფილოქსერამ ვენახი დაღუპა და ბევრი ცარიელზედ დასვა; საზოგადოდ, ეკონომიური მდგომარეობა ჩვენის გუბერნიისა ძალიან დაქვეითდა. ამისდა მიუხედავად გამგეობამ იმდენი მხნეობა გამოიჩინა, რომ ბანკის მოგება განაძლიერა იქამდე, სადამდეც არაოდეს არ გაძლიერებულა. ერთის სიტყვით, გამგეობამ ბევრი სიკეთე შესძინა საზოგადოებას, რომ წინ არ გადაღობებოდა დამაბრკოლებელი მიზეზები, რის გამო სამინისტრომ არ შეიწყნარა ჩვენი შუამდგომლობა. გამგეობა მაინც ეცადა და სესხის გაცემა ნახევარ მილიონამდის მიიყვანა.

დამფასებლების კომისიის წევრნიც ბ-ნი ნანეიშვილი და დ. წულუკიძე არ მემორჩილებოდნენ, თავის დროზედ არ მიდიოდნენ დასაფასებლად და, მთელის წლობით საქმეები ჩერდებოდა. ნანეიშვილი იქ წასასვლელად ეჩქარებოდა, სადაც სალაყბო იყო და გაზეთებში წერას უფრო მეტს დროს ანდომებდა, ვიდრე თავისს სამსახურს. დ. წულუკიძემ-კი ასე მითხრა: „შენ როგორ დაგემორჩილები, უკანონოდ ამორჩეული ხარო!“ აი ამისთანა შევიწროებულ მდგომარეობაში მყოფს გამგეობა მეტი რა მოეთხოვება“.

ა. თ. ნანეიშვილი. თუ სალაყბოზედ ვრბოდით და არაფერს ვაკეთებდით, ეს გამოჩნდება იმ მოხსენებიდგან, რომელსაც დამფასებელი კომისია წარმოუდგენს საზოგადო კრებას. ხოლო რანაირის ერთგულებით, სიბეჯითით და სიყვარულით ეკიდება ბანკის საქმეებს თითონ ბ-ნი ჩიკვაიძე, მე ამის შესახებ არას ვიტყვი, მივმართავ ჩიკვაიძის ორს ამხანაგს თ. ერისთავს და ბ-ნ ჯაიანს (დირექტორებს) როგორც კეთილშობილ კაცებს, იმათ სთქვან საზოგადოებაში, ვინ ეკიდებოდა საზოგადო საქმეს აგდებულად და ვინ ერთგულად. (საზოგადოება ხმა-მაღლა ითხოვს, სთქვან ეს დირექტორებმა).

თ. ნ. ერისთავი (დირექტორი). მე ჩემს სინიდისსა და პატიოსნებას არაოდეს არ გადავუდგები და ნამდვილს ყოველთვის ვიტყვი, მაგრამ ამ საგნის შესახებ ლაპარაკის დრო ეხლა არ არის.

გ. ნ. ჩიკვაიძე. მე იმით საქმეს არ ვახდენ, რომ სასამართლოებშიაც დავდივარ, ნოტარიუსთანაც, შინაურ საქმეებსაც ვაკეთებ და სხ.

ს. დ. ჯაფარიძე. ჩვენ აქ ენა-მახვილობის სავარჯიშოდ-კი არ მოვსულვართ, ჩვენ გვინდა ჩვენის ბანკის მდგომარეობა გავიგოთ და ნათლად წარმოვიდგინოთ. ბ-ნი ჩიკვაიძე კი მოგვიყვა აქ იმას, წულუკიძემ რა უთხრა კაბინეთში. ეს აქ რა მოსაყვანია, მით უმეტეს, რომ ის კაცი აქ არ არის, რომ პასუხი მისცეს. ჩვენ უნდა დავუკვირდეთ და გამოვიკვლიოთ, რა მიზეზებმა გამოიწვია ჩვენის ბანკის ასე უკიდურესად დაქვეითება. მე ვფიქრობ, რომ აქ სამი უმთავრესი მიზეზია: ერთი ის, რომ დროზედ ვერ მოიპოვა ჩვენმა გამგეობამ გრძელ-ვადიან სესხის უფლება, მეორე ის, რომ კონვერსიაზედ ამ ცხრა წლის განმავლობაში გამგეობას არაფერი უფიქრია, მესამე—დარჩენილ მამულების მოვლა და პატრონობა. აი ამ სამის მიზეზის განხილვას უნდა შევუდგეთ, ამას უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება. ვიდრე ანგარიშს დავამტკიცებდეთ, კომისია ამოვირჩიოთ და მივანდოთ ამ მიზეზების გამოკვლევა და დასურათ-ხატება. ამ აზრს მიემხრო ბ ნი ხუნდაძეც.

კრება გათავდა 4 საათზედ და გადაიდო ხვალისათვის.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ჯუმათი, (გურია). სიმინდის უმაზანდობამ აქაურ გლეხ-კაცობას მუშახაზედ თითქმის გული აუცრუა; ფუთი სიმინდის ფასი 35—40 კაპ. არ ასცილდება არც შარშან და წრეულს. ამ ფასად რომ ადგილობრივ იყიდებოდეს კიდევ კარგი, მაგრამ ასეთ ფასს იძლევიან მხოლოდ რკინის გზის სადგურებზე: ნატანებში და სუფსაში, სადაც ფუთის ჩატანა ჯდება რვა კაპეიკი. ამ რიგად ფუთი სიმინდი ჯდება 27—32 კაპ. ამ გარემოებამ ძლიერ დააქვეითა სოფლელები: გლეხებზედ ირიცხება აუარებელი დარჩენილი სახელმწიფო გადასახადი და ვალებიდგან ხომ ვერ დაუხწევიათ თავი.

გამოზამთრულდა თუ არა, ჩარჩებმაც თავი ამოჰყვეს სოფლებში და აუარებელი აბრეშუმის თესლი შემოიტანეს. სოფლელებიც სიხარულით წინ მიეგებნენ მათ და, განურჩევლად იმისა,—თესლი საღია თუ უვარგისი, კოლოფზედ თითო-ოროლა კოლოფი დაიტოვეს იმ პირობით, რომ მოსავლის მერთხედი უნდა ჩაებარებინათ თესლის გამომცემლებისათვის და ზარიც მათთვის უნდა მიეციდნათ. რასაკვირველია, როგორც შემოწმებული, თესლის უმეტესი ნაწილი უვარგისი გამოდგა; ზოგი თვით გურიის ამხანაგობის—„შუამავალის“—გამოცემული თესლიც ისეთივე უვარგისი დარჩა. აქაური მანდილოსნები გულმოდგინედ უვლიან აბრეშუმის ჭიას, მაგრამ რა ჰქმნან? ზოგს ერთი ძირი თუთის ხეც არ უდგას, და ჭია-კი ბლომად დაისვა; იმედი ჰქონდათ, რომ

---

ბას ასწავლიან.

—„თავშესაფარი-ოჯახი“ უმეტესს ნაწილად ქალაქებში არსებობს, სოფლებში უფრო „თავშესაფარი—ახალშენებია“, სადაც უპატრონო და ღვთის ანაბარა დატოვებულ ობლებს იღებენ. მაშინ როდესაც პირველი ხელოსნებსა და ქალაქის მუშებს აზადებს, „თავშესაფარ—ხალშენიდგან“ სოფლის მუშები გამოდიან. ასეთი „ახალშენი“ თითქმის ყველა სოფლის საზოგადოებასა აქვს თავისს ობოლ ბავშვებისათვის. „ახალშენში“ ბავშვი 18 წლამდე რჩება. ახალშენთან უეჭველად სკოლაც არის. ამას გარდა ასწავლიან ხვნა-თესვას, მებოსტნეობას, მებაღეობას, საქონლის მოვლა-მოშენებას და სხვ.; ქალებს—ხელსაქმეს, საჭმლების მომზადებას, ოჯახის მოვლას. 14 წლიდგან ყველას ჯამაგირს უნიშნავენ, მაგრამ ამ ჯამაგირს მხოლოდ „ახალშენიდგან“ გასვლისას აძლევენ, მანამდი-კი შემნახველ-გამსესხებელ კასსაში ინახავენ.

როგორც ამ „ახალშენებს“, აგრეთვე „თავშესაფარ-ოჯახებს“ სათავეში უდგანან ცნობილნი, გამოცდილნი და საქმის მოყვარე პედაგოგნი. უთუოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თითქმის ყველა იქ აღზრდილი ობოლი, პატიოსანი, მშრომელი კაცი დგება.

დამნაშავე ბავშვთათვის განსაკუთრებული ზნეობის გამასწორებელი ახალშენები არსებობს. ასეთ ბავშვებს დასჯით არასოდეს არა სჯიან, რაც უნდა დიდი დანაშაულობა ჰქონდეთ ჩადენილი. სიტყვა „დამნაშავე“ ამ შემთხვევაში არც-კი იხმარება, რადგანაც დანიელთა დაშვეციელთა აზრით, დამნაშავე ბავშვი სრულიად არ მოიპოვება, არის მხოლოდ უბედური, უპატრონო და გზა-კვალ-დაბნეული ბავშვი. ამას კი აღზრდა უნდა და არა დასჯა.

მცირე წლოვან დამნაშავეთათვის ახალშენი პირველად დანიაში ცნობილმა და გამოჩენილმა პედაგოგმა ბუდდემ დაარსა. ეს ახალშენი დღესაც არსებობს და სახელად „გიმმელბერგორდენი“ ეწოდება, ბავშვების ზნეობის უმთავრესს გასასწორებლად და გასაწრთვნელად საშუალებად ამ ახალშენში მიღებულია შრომა, მუშაობა. გამართულია იგი სოფელში, ისეთ ადგილას, რომელსაც სიმშვენიერითა და მდებარეობით ბადალი არ მოეპოვება. ბავშვებს სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული: დარბიან, თამაშობენ, ტყეში ხეებსა სჭრიან, მინდორში სთოხნიან და სხვა. დასჯა სრულებით არ არის შემოღებული. ასე გასინჯეთ, დარიგებითაც-კი არ არიგებენ ბავშვებს, არ ეუბნებიან, მაგალითად, რომ ასე მოიქეცი, ეს კარგია, ეს ცუდია, წინად ასეთი კაცი იყავი, ეხლა ეცადე ასეთი გაჰხდე და სხვა.

პირველად, შესვლისას ბავშვი ეჭვის თვალით უყურებს ყველაფერს; დირექტორსა და აღმზრდელებს პოლიციელებისაგან ვერ არჩევს; იმასა ჰგონია, ჩადენილ დანაშაულისათვის დასასჯელად მომიყვანეს აქაო, მაგრამ როდესაც დირექტორი ან აღმზრდელი მივა მასთან და ეტყვის, წამო, ტყეში გავიაროთ, ჩიტის ბუდე ვნახოთო, ან მინდორში წავიდეთ, მარწყვი მოვკრიფოთო, მაშინ ბავშვი თავისდა უნებურად აზრს იცვლის. არაფრით, არც სიტყვითა და არც საქმით, არ აგებინებენ ბავშვს, რომ ის ქურდი ან მაწანწალა იყო, რომ ცუდი საქმე ჩაუდენია; სცდილობენ მხოლოდ გაართონ, უქმად არ ამყოფონ და ჩხირ-კედელაობით ნელ-ნელა და თან და თან საქმეს შეაჩვიონ.

„ჩვენ ბავშვებსაო,—ამბობს ახალშენის დირექტორი ბუდდე,—არ შეუძლიანთ დიდ ხანს სკოლაში ჯდომა, წიგნების კითხვა. მათთვის მოძრაობა, სირბილი, თამაშობა, რამე საქმის გაკეთებაა საჭირო, რათა გაერთონ და ნელ ნელა შრომასაც შეეჩვიონ. ეჩვევიან კიდეც შრომას, რადგან პირველ ხანს ეს შრომა უფრო გართობა, თამაშობაა. განა შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ ისეთი ბავშვი, რომელმაც სიხარულით არ დაავლოს პატარა, ხელით სატარებელ ურემს, ტყეში არ წავიდეს, იქ ფიჩხი არ დაუდოს და სიცილ-ხარხარით უკანვე არ ჩამოარბევინოს? ჩვენ ახალშენში ვაკეთებინებთ იმას, რაც საზოგადოდ ყველა ცოცხალი ბავშვისთვის სანატრელი და სასურველია: პატარ-პატარა ფიცრების ხერხვა, პალოების დათლა, კედლების შეღება, გალესვა, აგურებით პატარა ქოხების აგება, კედლების ამოყვანა, მარხილების გაკეთება და სხვა“.

თუ რამდენად ნაყოფიერია ასეთი სისტემა აღზრდისა, ამას ახალშენის 18 წლის მოღვაწეობა ამტკიცებს. ამ ხნის განმავლობაში მიუღიათ და აღუზრდიათ ახალშენში 546 ვაჟი და 256 ქალი. ვაჟების რიცხვიდგან 20% ახალშენში შესვლამდე სამართალში იყო მიცემული სხვა-და-სხვა დანაშაულისათვის, 30% ქურდად იყო ცნობილი, 25%—წანწალსა და მათხოვრობაში ატარებდა დროს, 7%-ს იდიოტის სახელი ჰქონდა გავარდნილი და 18% „ცუდად აღზრდილი“ იყო. ქალებიდგან 13% ახალშენში შესვლამდე სამართალში იყო მიცემული, 39%—თუმცა სამართალში არ მიუციათ, მაგრამ სხვა-და-სხვა დანაშაულობა და ქურდობა-კი ჩაუდენიათ, 14%—ზნე-გაფუჭებული და დაცემული იყო.

ახალშენიდგან გამოსვლის შემდეგ ვაჟებიდგან 80% მშრომელი, მუყაითი და გულ-მოდგინე მუშა დადგა, 20%-ს შესახებ ახალშენის ანგარიში ამბობს, რომ თუმცა „მშრომელნი არიან, მაგრამ ცოტა ქარაფშუტობა ეტყობათო!“ 8 კაცი გარდაიცვალა; მხოლოდ 2% დაადგა ცუდ გზას, „იმათი გასწორება შეუძლებელიაო“, ამბობს ანგარიში. ქალებიდგან 5 გარდაიცვალა, 8—პროსტიტუციის მსხვერპლი გახდა, დანარჩენნი-კი შრომისა და მუყაითობის გზას დაადგნენ. უმრავლესობა მათგანი გათხოვილა კიდეც.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილ დაწესებულებათა გარდა დანიასა, შვეციასა და ნორვეგიაში არსებობს განსაკუთრებული სასწავლებლებიც ცუდის ყოფა-ქცევისა და სიზარმაცისათვის გამორიცხულ მოწაფეთათვის.

დასასრულ საჭიროდ ვრაცხთ მოვიხსენიოთ, რომ მარტო დანიაში, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 3 მილიონს არ აღემატება, 167 ასეთი დაწესებულება და სასწავლებელია. ყველა მათ ურთ-ერთ შორის მჭიდრო კავშირი და დამოკიდებულება აქვთ. მათი შემაერთებელი ერთი საზოგადო ბიურო, რომელიც ჰკრებავს ყოველგვარ ცნობებს მთხოვნელთა და გაჭირვებულთა შესახებ, ჰგზავნის შემოწირულებას იქ, სადაც საჭიროა, აგროვებს სასტატისტიკო ცნობებს საქველ-მოქმედო დაწესებულებათა და ქველ-მოქმედთა შესახებ, ადგენს და ჰბეჭდავს წიგნებს ქველმოქმედების შესახებ და სხვა.

ი. ა—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარშანდელებრ ფოთოლს მეზობლებიდგან ვიშოვითო, მაგრამ წელს გასაცემი ბჟოლის (თუთის) ფოთოლი-კი არა, სამყოფიც არავისა აქვს. ამ მიზეზის გამო ბჟოლის ფოთლის ქურდობაც გაჩნდა ღამ-ღამობით. დილა არ გავიდის, რომ მამასახლისთან მომჩივარი არ მიდიოდეს: „წუხელის ბჟოლი მომპარესო“.

აქაური ჩარჩი ვაჭრები მეტად მოწადინებულნი არიან აბრეშუმის ფასი დასცენ და ამ რიგად ჩალის ფასად ჩაიგდონ ხელში სიმწრის ოფლით მოწეული აბრეშუმის პარკი. ერთი ხმა გამოვიდა: „ფუთი პარკი ოც და ხუთ მანეთად უნდა გაიყიდოსო“, მაგრამ ეს ხმა ტყუილი უნდა იყოს; ჯერ-ჯერობით თუმნის მეტს არ იძლევიან ფუთში, რის გამო ძლიერ გულ-დათუთქულნი არიან სოფლის მანდილოსნები.

ს. ლაშის-პირელი

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** პარიჟში ბევრს ასე ჰგონია, რომ დიუპუის სამინისტრო მანამდე იცოცხლებს, ვიდრე დრეიფუსის საქმე სრულიად არ გათავდებაო. ბევრნი-კი, როცა ლონშანის მარულების დრომ მოახწია, დარწმუნდნენ, რომ ამ მარულების შემდეგ სამინისტრო ვეღარ შეიკავებს თავსაო, და ეს მართლაც ასე მოხდა. „ციხე შიგნიდგან გატყდებაო“, რომ იტყვიან, დიუპუისაც სწორედ ისე მოუვიდა. ამ დღეებში მასთან მივიდნენ იმ კომიტეტის წევრნი, რომელსაც რესპუბლიკელ დასთა გაერთიანება აქვს საგნად აღებული და რომელიც მუდამ მხარს უჭერდა დიუპუის. აი რა მოსთხოვეს და რა და რა კითხვები მისცეს კომიტეტის წევრებმა მთავარ-მინისტრს:

სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნას პოლიციის პრეფექტი ბლანიო; როგორ მოხდა, რომ ოტეილში მომხდარ უწესოებისათვის დატუსაღებულ 135 კაცში მხოლოდ რვა მიეცა სამართალში, დანარჩენები-კი განთავისუფლებულ იქმნენო? ოტეილში მომხდარ უწესოების გამოძიება რათ მიენდო ლემერსიეს, რომელიც ცნობილია ვითარცა თავ-გამოდებული ნაციონალისტიო? პატი-დე კლამის საქმე რაღა მიენდო გამოსაძიებლად კაპიტანს ტავერნიეს, რომელიც პიკარის საქმეს იძიებდაო? ეს რასა ჰგავს, რომ, მთავრობის განკარგულებით, როიალისტთა პატარ-პატარა კლუბები-კი დაიხურა, მაგრამ დიდები ისევ დარჩაო? მთავრობამ პასუხის გებაში მისცეს მთავარი ბრალმდებელი ბერტრანი და ბრალმდებელი ფეიოლე, რომელნიც, როგორც დამტკიცდა, ესტერგაზის და პატი-დე-კლამს თავზედ ხელს აფარებდნენო. სასურველია, რომ გენერალი ცურლინდენი პარიჟის გუბერნატორობიდგან დათხოვნილ იქმნასო. რა ღონისძიებანი უნდა იხმაროს მთავრობამ გენერალ გარტშმიდტის წინააღმდეგ, რომელმაც ამ დღეებში თავისის თავს ნება მისცა ლუბესათვის გაკვრით „პანამელი“ ეწოდებინაო, და სალდათებს ურჩევდა დრეიფუსის მომხრე გაზეთები არ ეკითხათო?

როგორც ამბობენ, დიუპუი თავ-გამოდებით იცავდა თურმე ბერტრანს და ცურლინდენს. კომიტეტის წევრები ცოტათი დაკმაყოფილებულიყვნენ დიუპუის სიტყვებით, მაგრამ რესპუბლიკელთა დასები, რომელთაც ამბავი მიუტანეს მოციქულებმა, სრულებით ვერ დაემშვიდებინა მთავარ-მინისტრის სიტყვებს. ისინი მაშინვე შესდგომოდნენ კაბინეტის გადაყენების საქმეს და ახალ კაბინეტის შედგენის შესახებ ზრუნვას დაეწყოთ. მთავარ მინისტრად რესპუბლიკელებს მაშინვე პუანკარე დაუსახელებიათ, რომელთანაც დიუპუის გადადგომიდგანვე რესპუბლიკის პრეზიდენტმა მოლაპარაკება გამართა.

## დამაკვირდი

თუ გინდათ ვისიმე გონიერების დაფასება, იმ დროებას უნდა მიუბრუნდეთ, რომელშიაც იგი სცხოვრობდა, რადგან დროთა ბრუნვა უეჭველ გონიერს უბრალო მომაკვდავად გარდაჰქმნის ხოლმე...

ბ. დ—შვილი

* * *

უმჯობეს არს სარჩევა რკინისა, ვიდრე და წვრთვნა ბოროტისა დედაკაცისა.

ძველი თქმულება

* * *

დასაბამისა კეთილისა უკეთეს იქმნება კეთილ ყოფა აღსასრულისა.

წმ. გრიგოლი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მოგვყავს ამერიკის მთავრობის ოფიციალ სტატისტიკიდგან ცნობები იმის შესახებ, თუ ამერიკელ მილიონერებს ხუთის წლის განმავლობაში (1893—1898) რამდენი ფული შეუწირავთ სხვა და სხვა დაწესებულების სასარგებლოდ. 1893 წელს ეს შემოწირულება 58 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1895 წ.—65,600,000 მანეთს, 1896 წ. 52 მილიონ მანეთს, 1897 წ.—30 მილიონ მანეთს და 1898 წელს—76 მილიონ მანეთს. სულ ერთად იქმნება 407,600,000 მანეთი. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ აქ ნაანგარიშევია მარტო ის შემოწირულებანი, რომელნიც 10,000 მანეთზედ ნაკლები არ იყო.

* * *

ამერიკის ქალაქ ბოსტონში არის ერთი ქარხანა, სადაც მხოლოდ ფონოგრაფებს აკეთებენ. ამ ქარხანაში 1000 კაცზედ მეტი მუშაობს. თვეში ქარხანა 70,000 ფონოგრაფს ამზადებს. დღეს ამერიკაში ფონოგრაფს ძალიან დიდი გასავალი აქვს. უპირველეს ყოვლისა ფონოგრაფი რეკლამისათვის გამოიყენეს. განცხადებები და სხვა ამ გვარი რეკლამა ამერიკელებს აღარ აკმაყოფილებს, ეხლა მათ ფონოგრაფს მიჰყვეს ხელი. შედის, მაგალითად, რკინის გზის ვაგონში კაცი, თან ფონოგრაფი შეაქვს, დაატრიალებს ხელს და ფონოგრაფი დაიწყებს ლაპარაკს: „საუკეთესო შოკოლადი, ტარტემპიონის შოკოლადია; 33 ავენიუ, ნომერი 15“. აქავე მოჰყვება ფონოგრაფი ქებას, რა თვისებისაა ტარტემპიონის შოკოლადი და სხვა. ამასთან ფონოგრაფი სხვა-და-სხვა ენაზედ ლაპარაკობს, ჯერ ინგლისურსა, შემდეგ ფრანგულსა, ესპანურსა და ნემენცურზედ. ამერიკაშივე, კბილის ექიმის მისაღებ ოთახში, ხშირად შეხვდებით ფონოგრაფს, რომელიც განუწყვეტლივ ლაპარაკობს და ან აქებს კბილის ექიმს, ან კიდევ სხვა-და-სხვა ანეგდოტებსა და ზღაპრებს ამბობს იქ მყოფთა გასართობად. შიგა და შიგ ამ ანეგდოტებშიაც ჩაურევს ხოლმე: „ძვირფასო ექიმო, შენისთანა კარგად კბილის ამოძრობა არავინ იცის. ვწუხვარ, რომ კბილი აღარა მტკივა, თორემ ამოგაძრობინებდი და ერთხელ კიდევ ვესიამოვნებდი“. საპოლიტიკო მოღვაწენიც-კი ხმარობენ ხოლმე ფონოგრაფს არჩევანების დროს. იმის წყალობით თავიანთ სიტყვებს ერთსა და იმავე დროს სხვა-და-სხვა ადგილას ამბობენ.

## გამოსადეგი ცნობა

ყველაზედ უბრალო საშუალება წყლის დაწმენდისა შემდეგია: აიღეთ ძველი ტილო, შეახვიეთ ძაბრსავით, ისე რომ ქვემო თავი გამწვეტებული ჰქონდეს, შეჰკარით ამ გვარად, შემდეგ დაჰკიდეთ ლურსმანზედ, ჩაჰყარეთ შიგ უბრალო ნახშირი და ნელ ნელა წყალი ჩაასხით.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ივნისი

**პარიჟი.** ყველა გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ პუანკარე არ უარ-ჰყოფს თავისს მისსიას. გაზეთების შესამჩნევი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ პუანკარე თავისი მოქმედებით საგანს მიაღწევსო. ზოგიერთი გაზეთები-კი ამტკიცებენ, პუანკარე ვერაფერს გახდებაო. კონსერვატორები ამბობენ, პუანკარეს დამარცხებას გამოიწვევს რადიკალთა მოთხოვნილება, რომელთაც ჰსურთ თვალ-საჩინო პორტფელების მიღებაო. „Jurual“-ი ამტკიცებს, ბურჟუა უარ-ჰყოფს გარეშე საქმეთა სამინისტროს პორტფელსაო, და ნამდვილად დელკასეს შერჩება ეს პორტფელიო.

**პარიჟი.** სასამართლოში ირჩევა იმ 8 კაცის საქმე, რომელთაც უწესოება მოახდინეს ოტეილში. საქმის გარჩევას აუარებელი ხალხი ესწრება.

**პარიჟი.** პუანკარე დილის 11 საათსა და 15 წ. მივიდა ელისეის სასახლეში და შეატყობინა ლუბეს, ოფიციალურად ვკისრულობ კაბინეტის შედგენასაო. თუმცა ჯერ არაფერი გამოუცხადებიათ პორტფელების განაწილების შესახებ, მაგრამ ხმა დადის, რომ პუანკარეს განზრახვა აქვს თავისთვის სამხედრო სამინისტროს პორტფელი დაიტოვოსო.

**პარიჟი.** როგორც ისმის, პუანკარეს აზრად აქვს ჩააბაროს რიბოს პორტფელი საერო განათლებისა, სარიენს—შინაგან საქმეთა, მონისს—სასჯულო საქმეთა. როცა პუანკარეს სასახლიდგან გამოსვლის დროს დაეკითხნენ, განაცხადა, იმედი მაქვს ჩემს სურვილს მივახწევ და 6 საათზედ ელისეის სასახლეში დავბრუნდები, რომ ლუბეს მოლაპარაკების ვითარება შევატყობინოო.

უარსა ჰყოფენ ზოგიერთ გაზეთების მიერ გავრცელებულ იმ ხმას, ვითომ კრანტს ზიგფრიდთან ლაპარაკის დროს ეთქვას, რომ საკასსაციო სასამართლოს განაჩენმა სრულიად არ შესცვალა ჩემი აზრი დრეიფუსის შესახებ, მე ისევ დარწმუნებული ვარ, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო.

**პარიჟი.** სამედიატორო სასამართლო, შემდგარი ინგლისის გვიანის საზღვრების დასადგენად, შეიკრიბა დილას გარეშე საქმეთა სამინისტროში მარტენსის თავმჯდომარეობით...

**პარიჟი.** სასამართლოში თავმჯდომარემ ჩვენება ჩამოართვა დიონს, რომელიც ამტკიცებდა, ნება მქონდა დამეძახნა: „გაუმარჯოს ჯარს!“ და დაძენახვებინა ლუბესთვის, რომ ყველანი პირ-ფერობით არ ექცევიან. დიონმა და სხვა ბრალდებულთ განაცხადეს, ოტეილში იმ აზრით არ წავსულვართ, რომ მანიფესტაცია მოგვეხდინაო. ჩვენ ჯარის მიმართ პატივისცემას ვაცხადებდით, რისთვისაც პოლიცია სასტიკად და საძაგლად მოგვექცაო.

4 ივნისი

**სტოკჰოლმი.** საერთაშორისო კრება გიდროგრაფიისა და ბიოლოგიისა დაიწყო შინაგან საქმეთა მინისტრის კროზენშტეინის სიტყვით, რომელიც რომელიც შეკრებილთ მეფის სახელით მიესალმა. სალამის პასუხი სთქვეს ინგლისის დელეგატმა მურრეიმ, გერმანიისამ—გერვიგმა და რუსეთისამ—გრიმმა. თავმჯდომარედ ამორჩეულია შვეცის წარმომადგენელი ოკერმანი, ვიცე პრეზიდენტებად—მურრეი, გერვიგი, გრიმი, კაპიტანი დრეკსეი (დანია), პროფესორი ფრიტიოფ ნანსენი (ნორვეგია) და დოქტორი გოკი (ჰოლანდია).

**პარიჟი.** პეიტრალმა უარი სთქვა და არ იკისრა ფინანსთა მინისტრის პორტფელი იმ მიზეზით, რომ დასვენება მჭირიაო.

**პარიჟი.** 7 საათზედ პუანკარე წავიდა პრეზიდენტ ლუბესთან და აუწყა, რაც გაეკეთებინა მთელის დღის განმავლობაში. მას ენახა სარიენი და რიბო, რიბო დათანხმებულა საერო განათლების მინისტრის თანამდებობის მიღებას. ხვალ პუანკარეს თათბირი ექმნება ფულდიერსა და მონისთან.

**ბელგრადი.** როგორც აქ მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, სერბიისა და ოსმალეთის საზღვარზედ ძრავალ რიცხვოვანი ბრბო, რომელთა შორის ყოფილა 200 კაცი ოსმალეთის ჯარისა, დასცემია სერბიის საზღვარს იაბლონიცკის ოლქს. სერბიელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ. ბრძოლა მთელს დღეს ყოფილა, ორივე მხარეს რამდენიმე სული მოკლული და დაჭრილი. ოსმალებს, რიცხვის სიმრავლისა გამო დაუჭერიათ სერპიელთა სასი საზღვრო სადარაჯო და ალყა შემოურტყავთ სერბიის სამის სოფლისათვის. სერბიის მთავრობამ ჯარი გაჰგზავნა და უბრძანა, განდევნოს საზღვარზედ შესულნი და მშვიდობიანობა აღადგინოს.

## შემოწირულობა

ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ივანე ზედგინიძის მიერ ქალაქ ერევანში „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ შეკრებილი 27 მან. ფულის შემომწირველნი არიან: ორ-ორი მანეთი: იზმაილ მესხი, მიხეილ ზაალიშვილი, კონსტანტინე შოთაძე და სიმონ კასრაძე. თითო მანეთი: დეკანოზი მ. ლაზარე ტურიევი, მღ. მ. ალექსი თევზაძე, ქრისტეფორე ჯიოშვილი, კონსტანტინე კაკაბაძე, ვლადიმერ კონიევი, თავ. ივანე ჩერქეზიშვილი, ვლადიმერ კასრაძე, ვასილ შოთაძე, ლავრენტი პიპია, ხოე კანდელაკი, ალექსი მუსტაკი, ივანე ზედგინიძე, სანდრო კოჩაშვილი და კირილე სარჯველაძე. ოთხი აბაზი: ზაქარია ბენდიაშვილი; სამი აბაზი: ივანე გარბაჩევი; ათ-ათი შაური: არჩილ დარჩია, ივანე პიპია, ვასო კონიევი და თედო ბუჩუკური. ორ-ორი აბაზი: სანდრო კორძაია და სილოვან ხომასურიძე. ექვს-ექვსი შაური: კოსტა მამცემლიძე და გიორგი ჩხარტიშვილი. ერთი აბაზი ანდრია კოპალაძე. სულ 27 მანეთი. ფული დანიშნულებისამებრ გარდავეცით.

## საეკლესიო კონცერტის რეცენზენტს ბ-ნს №№-ს.

(წერილი რედაქციის მიმართ)

(დასასრული *)

ნუ თუ ბ-ნო №№-ო თქვენზედ გავლენა არა აქვს რაოდენობას? პეტერბურგში ბ-ნ ფატეევს ჰყავს სახალხო ხორო, რომელშიაც ოთხასი მგალობელია. [1]), და საკონცერტო ხოროში სამოცი მგალობელია. რა ისე გასაკვირალია? განა გუნდი ოთხის მგალობლისაგან და სამოცისაგან ერთნაირად იმოქმედებს მსმენელზედ? თქვენი კი არ ვიცი და სხვები ამას აქცევენ ყურადღებას. საქმეც ეს არის, რომ იმოდენა დარბაზისათვის, სადაც ხუთასზედ მეტი კაცი დაეტევა, საჭირო იყო იმოდენი ხმა ხოროში. უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, თორემ ოთხი კაცი ხოროში, სასაცილო იქმნებოდა, და მეხუთე რიგშიაც კი ვერ გაიგებდნენ იმათს ხმას. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი საეკკლესიო საგალობლები წყნარად და სიჩუმით უნდა ითქვას [2]). ზოგიერთს ჰგონია, ვითომ ქართული საეკკლესიო საგალობლები მარტო სამმა კაცმა უნდა სთქვასო, მამა-პაპური ეს არისო, და შეიძლება ამიტომ უფრო შეკრიბა სამოცი და აჩვენა, რომ როგორც სამს შეუძლიანთ, ისე სამოცსაო.

„საჭიროა, რასაკვირველია, „ფორტეს“ ან „პიანოს“ დაცვა გალობაში, მაგრამ ისე კი არა, როგორც იმათ მოსდიოდათ. მარტო ახსნა ხომ არა კმარა იმისა, რომ „ფორტე“ ამასა ნიშნავს და „პიანო“ ამასაო; არა, საჭიროა წრთვნა, სწავლა, ვარჯიშობა“.

როგორც გეტყობათ, ბ-ნო რეცენზენტო, თქვენ მის სავარჯიშო გაკვეთილებზედ ბრძანებულხართ და ამას, რო ჰხედავდით, რატო არ მოაგონეთ.

ბ-ნს მონადირიშვილს, ჩემის აზრით, სრულიად არ ექმნებოდა სახეში, რომ მგალობელთ მარტო თეორიული ცნობები მოეპოვებინათ ვარჯიშობის დროს, რომ „პიანო“ ამას ნიშნავს და „ფორტე“ ამასაო, არამედ პრაქტიკულად შესრულება; ეს ხომ ყოველს ეჭვს გარეშეა, ვინაიდგან კონცერტში საჭირო იყო პრაქტიკულად შესრულება ამ ნიშნებისა და არა მარტო თეორიული ცოდნა. ეს რომ ასე არა ყოფილიყო, არ იტყოდით „კონცერტმა კარგად ჩაიარაო“.

„ბ-ნს ლოტბარს უნდა ესწავლებინა, თუ რა არის გულით სიმღერა-გალობა და რა არის ბუნებითი სოპრანოთი თქმა“...

ვისთვის უნდა ესწავლებინა, რატომ არ ასახელებთ? ბ-ნო №№-ო, თქვენი მუსიკალური განვითარება იქამდის მიიყვანეთ, რომ ტონის მესამედს არჩევთ გალობაში და აქ კი საზოგადოდ გულით სიმღერას და ბუნებითი სოპრანოთი თქმას ურევთ. გულით სიმღერა შეუძლიან ყოველ ხმას: კრინს, ზილს, გამყივანს და ბანს [3]), ხოლო ბუნებითი სოპრანოთი თქმა შეუძლიან მარტო სოპრანოს—კრინს. ადამიანის ხმაო, ამბობს მეკენზი, განიყოფება ორს ფარდად (რეგისტრი), დაბალი ნოტები ითქმის გულით, ხოლო მაღალი ყელით [4]).

„თუმცა, როგორც ზევითა ვსთქვით, საზოგადოდ კარგად ჩაიარა კონცერტმა“...

მარტო ეს წინადადება თავდებია იმისა, რომ კონცერტში გალობა მწყობრი იყო, ე. ი. აცილებული იყო ყველა იმ ნაკლს, რომლებსაც ასე დაბეჯითებით უჩვენებს რეცენზენტი „ივერიის“ №75-ში, თორემ განა მაგისთანა მკაცრი რეცენზენტი იტყოდა „კარგად ჩაიარა კონცერტმაო“. საჭიროა აღვნიშნო, რომ ხოროს თითქმის ყველა ნომრები გაამეორებინა საზოგადოებამ. დარწმუნებული უნდა იყოს ბ-ნი რეცენზენტი, რომ იმისთანა ნაკლით, რომელსაც იგი აღნიშნავს, საზოგადოება არ გაამეორებინებდა საგალობლებს. მე ამითი იმას-კი არ ვამბობ, რომ კონცერტმა უნაკლულოდ ჩაიარა-მეთქი, არა, ნაკლი ჰქონდა, მაგრამ რეცენზენტის ნაჩვენები-კი არა, როგორც ამ წერილიდგანა სჩანს, არამედ სხვა, რომლებიც ყურადღების მისაქცევიც-კი არ არის, ვინაიდგან ხორო შესდგებოდა გალობის მოყვარულთაგან და არა პროფესიონალ მგალობელთაგან.

დამსწრეთაგანი

*) იხ. „ივერია“ № 114.

[1]) Пособіе къ пѣнію, А. Фатѣева. გვერდი 1.

[2]) იხ. „მწუხრი“, ნოტებზედ გადაღებული, მღ. ვას. კარბელოვისაგან. გვ. 1.

[3]) „სახელმძღვანელო ნოტებისა“, ფ. ქორიძისა. გვ. 27 და 28.

[4]) „Singen und sprechen“ von sir Morem Mackenrie. Dutsche Ausgave von D-r i. Michael.

Дозволено цензурою, Тифлисъ 4-го Іюня 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე